

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

№4(8)

2010

ჟურნალი დაფუძნებულია
დია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



Scientific magazin

Научный журнал

„Scripta manent“

GEORGIA

ГРУЗИЯ

№4(8)

2010

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მანია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუპი, კულაუ ბეიბიტოვა, სილვია ბოტევა,
ტანია გრისკამერი, ქეთევან ბაბუნია, ია ბურდული, მარია მიხაილოვა,
ტატიანა მებრელიშვილი, ალბა გრაციანო, ალესანდრა სპადაფორა, გიორგი ყუფარაძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტაფას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 36 51 76

E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail.ru

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიბლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
www.odageorgia.ge

Editorial Board:

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Griebßhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : (995 32) 36 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел. : (995 32) 36 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რედაქციისაბან

ჟურნალი აქვეყნებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა მიმდინარეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს და ადგილს უთმობს აგრეთვე რეცენზიებსა და კრიტიკულ წერილებს.

პროფესიონალ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ფილოლოგიის, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და სტუდენტთა ნაშრომებს.

სარჩევი

ციური ახელედიანი

თანხმობათა აქცესიური კომპლექსების ფონეტიკური სუპერაცია იტალიურ ენაში.....9

ქეთევან გაბუნია, თამარ ქაცანაშვილი

ფრანგული ენის გრამატიკის თანამედროვე მეთოდოლოგია: ტექსტის
სივრცეში განთავსება15

ქეთევან გაბუნია, გვანცა ჭანტურია

კომუნიკაცია, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალება23

ილია გასვიანი

გიომ აპოლინერის „ალკოჰოლების“ გენეზისი.....28

რუსუდან გოცირიძე

ტექნიკური კომუნიკაცია44

ულფგეტ იბრაგიმოვი

აბრევიატურათა წარმოქმნის საკითხისათვის ფრანგულ ყოველდღიურ
გაზეთებში (გაზეთების “Le Monde”, “Le Figaro” სტატიების მიხედვით) 49

ირინა კვესელავა

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების (აიტ) მნიშვნელობა
უცხოური ენების სწავლების პროცესში54

დარეჯან ლაბუჩიძე

წინადადების სინტაქსური ფუნქცია – გრამატიკული
ტრანსფორმაციის ფაქტორი 59

ბელა ხაბეიშვილი

50-იანი წლების დრამატურგები – სიტყვის მონოპოლიის
წინააღმდეგ აგორებული საპროტესტო ტალღა65

გიორგი ყუფარაძე

ზოგიერთი საინტერესო ნასესხობათა საკითხისათვის ინგლისურ ენაში.....73

სალომე შავგულიძე

კონტრასტული ლინგვისტიკის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები79

მარინა ჯაში

საგაზეთო კომუნიკაცია – სულიერი კულტურის ძირითადი ელემენტი.....86

Contents

Tsiuri Akhvlediani Phonetic Superations of the Accessive Complexes of Consonants in the Italian Language.....	9
Ketevan Gabunia, Tamar Katsanashvili The Modern Methods of French Grammar: the Text Arrangement in Space.....	15
Ketevan Gabunia, Gvantsa Chanturia Communication as a Process of Information Transmission.....	23
Ilia Gasviani Genesis of Guillaume Apollinaire’s “Alcohols”	28
Rusudan Gotsiridze Technical Communication	44
Ulfet Ibrahimov About the Abridgements Pronunciations Question in Daily French Newspapers (According to the Articles of “Le Monde” and “Le Figaro” Newspapers).....	49
Irina Kveselava Importance of the New Informational Technologies in the Foreign Language Learning Process	54
Darejan Labuchidze Syntactic Function of Sentence – Factor of Grammatical Transformation	59
Bela Khabeishvili Dramatists of the 50’s – the Protest Wave Against the Word Monopoly.....	65
Giorgi Kuparadze About Some interesting „Borrowed“ Words in English.....	73
Salome Shavgulidze The Theoretical and Methodological Bases of Contrast Linguistic.....	79
Marina Djachy Newspaper Communication – the Essential Element of Spiritual Culture.....	86

Содержание

Циури Ахвледиани

Фонетическая суперация акцессивных комплексов согласных в итальянском языке.....9

Кетеван Габуния, Тамара Капанашвили

Современная методика французской грамматики: размещение текста в пространстве.....15

Кетеван Габуния, Гванца Чантурия

Коммуникация как процесс передачи информации23

Илья Гасвиани

Генезис „Алкоголей“ Гийома Аполлинера.....28

Русудан Гоциридзе

Техническая коммуникация44

Улфет Ибрагимов

О вопросе произношения сокращений во французских ежедневных газетах
(по статьям газет «Le Monde» и «Le Figaro»)49

Ирина Квеселава

Значения новых информационных технологий в процессе изучения иностранных языков.....54

Дареджан Лабучидзе

Синтаксическая функция предложения – фактор грамматической трансформации.....59

Бела Хабеишвили

Драматургии 50-х годов – волна протеста против монополии слова65

Георгий Купарадзе

К вопросу о некоторых интересных заимствованиях в английском языке73

Саломе Шавгулидзе

Теоретические и методологические основы контрастной лингвистики.....79

Марина Джаши

Газетная коммуникация – основной элемент духовной культуры86

საგაზეთო კომუნიკაცია – სულიერი კულტურის ძირითადი ელემენტი

მარინა ჯაში

ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტი

ქაქუცა ხოლოყაშვილის გამზ. 3/5, 0162,

თბილისი, საქართველო

ტელ. : 899 552 195

E-mail : marina_dshaschi@yahoo.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საგაზეთო კომუნიკაცია ტექსტის ლინგვისტიკის თვალთახედვიდან; წარმოდგენილია პრესის ტექსტებში რეალიზებული ტექსტის ინტენციის ხუთი ტიპი, რომელთა შორის გამოირჩევა აზრის გამომხატველი პერსუასიული ტექსტის ტიპი – საგაზეთო კომენტარი. მისი ამოცანაა არა მარტო რეალობის ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის წარმოდგენა, არამედ უპირველეს ყოვლისა, შეფასებითი კლასიფიკაცია ტექსტის ავტორის მხრიდან. კომენტარში დომინირებს ტექსტის არგუმენტაციული სტრუქტურები, რაც გამოიხატება მტკიცებულების შეფასებებისა და დასაბუთებულების დიდი სიხშირით. სხვა საგაზეთო ტექსტებისაგან განსხვავებით, კომენტარი უფრო მეტად გულისხმობს ინფორმაციის გარკვეულ დონეს და სელექციურად ახდენს ამ ინფორმაციის რეფერირებას სპეციფიკური პერსუასიული მიზნის მისაღწევად, ე. ი. ექსპლიკაციურ კომპონენტს ყოველთვის საფუძვლად უდევს პერსუასიულ-ფუნქციური ასპექტი.

საკვანძო სიტყვები:

საგაზეთო კომუნიკაცია, კომენტარი, ინტენცია, პერსუასიული ტიპის ტექსტი, არგუმენტაცია, კონკლუზია.

შესავალი

კულტურა ადამიანისა და საზოგადოების მოქმედების ფორმათა ერთობლიობაა, რომელიც ვლინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და გამოხატავს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს.

სულიერი კულტურა მოიცავს ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ძირითად ელემენტებს, სამყაროსადმი შემეცნებით, ემოციურ და პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულებას. შემეცნებითი მოღვაწეობის ფორმები გამოხატავენ ადამიანთა სოციალურ-კულტურულ ორიენტირებს. კულტუროლოგიის სტრუქტურალისტური მიმართულების წარმომადგენლები კ. ლევი-სტროსი და მ. ფუკო კულტურას განიხილავენ ენის დონეზე, როგორც ადამიანთა შორის კომუნიკაციის, ინფორმაციის გადაცემის საშუალებას

თანამედროვე ლინგვისტიკაში, რომელიც ორიენტირებულია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე, ტექსტი განიხილება როგორც უმაღლესი დინამიური კომუნიკაციური ერთეული, რომლის საშუალებითაც წარმოებს სამეტყველო მოღვაწეობა.

ტექსტის დინამიური ცნება – “ტექსტი ფუნქციონირებაში” – წინა პლანზე აყენებს ფუნქციური ასპექტის შესწავლას. ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში, მაშასადამე, მისი კანონზომიერებების ახსნა შეუძლებელია რეალური საკომუნიკაციო პირობებისაგან იზოლირებულად. ამის შესაბამისად ტექსტზე ორიენტაცია იმავდროულად ნიშნავს ორიენტაციას საკომუნიკაციო პროცესზე.

თანამედროვე ლინგვისტიკის დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი საკო-

მუნიციპალიტეტის ფაქტორებს განიხილავს არა როგორც ცალკეულ ფაქტებს, არამედ როგორც მთლიან სისტემას, რომლის ბირთვია სამეტყველო მოღვაწეობის კონკრეტული ერთეული, ანუ სამეტყველო აქტი, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ენობრივ ერთეულს, ტექსტის წარმოშობასა და ფუნქციონირებას.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე გერმანულ ენათმეცნიერებაში ცნება “ტექსტი” გამოიყენება უმეტესად წერილობითი პროდუქტის, ხოლო “დისკურსი” ზეპირი მეტყველების პროდუქტის აღსანიშნავად. აღსანიშნავია ის, რომ ტექსტი არა მხოლოდ ქაღალდზე გადატანილი მეტყველებაა, არამედ პირველ რიგში წერილობითი პროდუქტია. აქ საქმე გვაქვს ძირითადად არა იმასთან, რომ ის განასახიერებს გრაფიკულად აზრობრივ-შემეცნებით პროცესს: ტექსტი არის ცნობიერების შინაარსების გადმოცემა სემიოტიკური ნიშნებით; იგი არის ადამიანის ენობრივ-კომუნიკაციური მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება, რითიც იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზეპირი გამონათქვამებისაგან. ტექსტი არის წერილობით ფიქსირებული ენობრივი მოღვაწეობის შედეგი და როგორც ასეთი სტატიკურ მდგომარეობაში არსებული პროდუქტი” [ფურცელაძე 1998:15].

საგაზეთო კომუნიკაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია. რადგან კომუნიკაცია ამ შემთხვევაში საგაზეთო ტექსტებით წარმოებს, იგი წარმოადგენს წერილობითი კომუნიკაციის სახეობას. სხვადასხვა რუბრიკების არსებობა (ეკონომიკა, პოლიტიკა, სპორტი და ა.შ.) და მათი წარმოდგენის სახეები (ცნობა, რეპორტაჟი, კო-

მენტარი და ა.შ.) უფრო სავარაუდოს ხდის იმ ფაქტს, რომ არ შეიძლება არსებობდეს საკუთრივ პრესის ენა, მაგრამ მაინც არსებობს მრავალრიცხოვანი საერთო ნიშნები, უპირველეს ყოვლისა მათი შექმნის პირობებისა და შეტყობინების თვალსაზრისით, რომლებიც შეიძლება მეტყველებდეს ცნების “პრესის ენა” შენარჩუნების სასარგებლოდ, რასაკვირველია, არა ჰომოგენური ენობრივი სისტემის მნიშვნელობით. პრესის ენა არის არა მარტო შესაბამისი ენობრივი მდგომარეობის დოკუმენტი, არამედ ის თამაშობს მნიშვნელოვან როლს ენობრივი ნორმების გამოხატვისას და ცვლილებისას [ლიუგერი 1983:1].

ამგვარი რელევანტურობის საფუძველზე კვლევის სხვადასხვა დისციპლინებმა და მათ შორის განსაკუთრებით ლინგვისტიკამ დიდი ყურადღება დაუთმო პრესის ენის ფენომენის ანალიზს. პრესისათვის ტიპური საკომუნიკაციო სიტუაცია შეიძლება შემდეგი ნიშნებით დავახასიათოთ: ა/საჯაროობა (კომუნიკაციის მონაწილეთა შეუზღუდაობა), ბ/იგი გადმოიცემა პერიოდულად გამომავალი მედიის “გაზეთის” გზით, გ/არაუშუალობა (ერთობლივი საკომუნიკაციო სიტუაციის არ არსებობა კომუნიკაციის ავტორსა და ადრესატს შორის), დ/ცალმხრივობა (კომუნიკაციის როლების გაცვლის შეუძლებლობა, გარდა მკითხველთა წერილებისა), ეს არის პრაქტიკულად ცალმხრივი კომუნიკაცია [მალეცკე 1963:32].

პრესის ტექსტებში რეალიზირებული ტექსტის ინტენციის მრავალფეროვნება შეიძლება 5 ელემენტარულ ტიპზე დავიყვანოთ, რომლებსაც თავის მხრივ ტექსტების შესაბამისი ჯგუფები ან კლასები ექვემდებარება: ა/ინფორმაციული ტექსტები, მათი პირველადი მიზანია ფაქტების შეტყობინება, ინფორმაცია რაიმე რეალური მოვლენის ან წინარე ხდომილების შესახებ. აქ

აქცენტი კეთდება გამონათქვამების ფაქტიურობაზე და არა მათ შეფასებასა ან უფრო დიდ კონტექსტებში მათ ჩართვაზე; ბ/ინსტრუქციულ-მითითებითი ტექსტები; აქ საქმე გვაქვს უპირველეს ყოვლისა რჩევისა და ინსტრუქციის შემცველ ტექსტებთან; გ/ბიცენტრული ტექსტები: ამის ნათელი მაგალითია საგაზეთო ინტერვიუ. აქ ტექსტის სტრუქტურა ეფუძნება კითხვების (მოთხოვნა ინფორმაციის მიღებაზე) და პასუხების (უმეტესად საინფორმაციო და აზრის გამოხატველი ინტენციით) მონაცვლეობას; დ/კონტაქტური ტექსტები; აქ ლაპარაკია ინფორმაციის გადაცემაზე განსაკუთრებული გრაფიკული საშუალებებით, ფოტოების გამოყენებით და ა.შ. ამასთან სიტყვების შერჩევა და სინტაქსი უნდა უზრუნველყოფდეს პოტენციური მკითხველის ყურადღების მიქცევასა და ინტერესის გაღვივებას; ე/აზრის გამომხატველი პერსუასიული ტექსტები; აქ საქმე გვაქვს შეტყობინებებთან, რომლებიც გამოხატავენ საგნობრივი სიტუაციის შეფასებას, ავტორის საკუთარ პოზიციას ან განსაზღვრულ ემოციურ რეაქციებს პირებზე, პროცესებზე და ა.შ. ასეთი ტექსტების ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, და არა უპირველესად რაიმე ფაქტის ან მოვლენის წარმოდგენაში, არამედ უპირველეს ყოვლისა, მათ შეფასებით კლასიფიკაციაში ტექსტის ავტორის მხრიდან. ამას სულაც არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ პრინციპში ყველა ინფორმაციულ ტექსტს საფუძვლად უდევს განსაზღვრული შეფასება, რაც ვლინდება სიტყვების შერჩევაში, საინფორმაციო ერთეულების სელექციაში, თვით მოვლენის სტრუქტურაში.

მნიშვნელოვანი სხვაობა მაინც ტექსტის თემასთან მიმართებაშია: ამ შემთხვევაში, მაგალითად, საგაზეთო ცნობის დროს მკითხველისათვის ის თანდათან ვითარდება, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში, მა-

გალითად კომენტარში, ის პრაქტიკულად წინასწარ მოცემულია და მეტა-დონიდან, შემდგომ განხილვას საჭიროებს.

ჰ. ბელკე ანსხვავებს ერთმანეთისაგან შეფასებით და აპელირებად ტექსტებს: შეფასებით ტექსტებში უპირატესობა ენიჭება ავტორის სუბიექტურ პოზიციას /ხედვას/, აპელირებად ტექსტებში კი არის ცდა რეალობაში ჩარევისა, რომლის დროსაც ისინი ზეგავლენას ახდენენ ადრესატზე და მას საჭიროების შემთხვევაში ქმედებისაკენ უბიძგებენ [ბელკე 1973:78].

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აზრის გამომხატველი პერსუასიული ტექსტის ტიპი და კერძოდ, კომენტარი. ჟურნალისტური კომენტარის მნიშვნელოვანი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მოგვცეს დამოუკიდებელი ინტერპრეტაცია, ახსნა-განმარტება დღის მოვლენების, დროის მიმდინარეობების და პოლიტიკური ცვლილებების შესახებ [კოსციკი/ პრუისი 1969:184].

ექსპლიკაციურ კომპონენტს საბოლოო ჯამში მაინც ყოველთვის საფუძვლად უდევს პერსუასიულ-ფუნქციური ასპექტი. კომენტარებში ამოსავალი წერტილი არის ჩვეულებრივ საქმეთა ვითარების, პოზიციების ან ქმედების პრინციპების პრობლემატიზირება. მაგალითად, არსებული მოსაზრებების ეჭვქვეშ დაყენების გზით, კონტროლერული ან გამამართლებელი არგუმენტების წამოყენებით, რომლებიც საკამათო საკითხს ან საკამათოდ მოსალოდნელს კრიტიკული განხილვის ობიექტად აქცევენ. პერსუასიული მიზანდასახულობის პერიფრაზირება შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც მცდელობა “bestimmte praktische Handlungsnormen im Spannungsfeld kontroverser Geltungsansprüche argumentative zu begründen und für ihre Ratifikation durch die überzeugte Zustimmung der Kommunikationspartner zu werben.”* [კოპერშმიდტი

* “ქმედების განსაზღვრული პრაქტიკული ნორმე-

1973:97]. განსაზღვრული გამონათქვამები და დასკვნები დამაჯერებელი რომ გახდეს, კომენტარში დომინირებს უპირველეს ყოვლისა ტექსტის არგუმენტაციული სტრუქტურები. მისთვის სახასიათოა მტკიცებუბის, შეფასებების და დასაბუთებების დიდი სიხშირე, ასევე წინადადებების დაკავშირების სახეები მაპირისპირებელი, კაუზალური, განმარტებითი, დასკვნითი რელაციები; მათ პარალელურად თან ახლავს სპეციფიკური იუნქტორები, ანუ მაკავშირებელი სიტყვები: *deshalb, mithin, also, dennoch* და პრეწინადადებები ტიპისა: *es ist notwendig, trifft zu, dass* წინა პოზიციაში, ხოლო სემანტიკური რელაციები ექსპლიციტურად გამოიხატება. არგუმენტაციული სტრუქტურის ცნობილი მოდელი განავითარა ტულმინმა, რომლის მიხედვითაც მტკიცებები ან კონკლუზიები (K) წესისამებრ განსაზღვრულ ფაქტებზე ან მონაცემებზე (D) მიმართული. ფაქტის გამართლება (R), რომელიც ეყრდნობა რაღაც საფუძველს (S) ხშირად ენობრივად არ არის გაცხადებული. შედეგი D-დან K-ზე ფორმულირებულია არა როგორც ზოგადი და სრულყოფილი წინადადება, არამედ რელატივირებულია ე.წ. კვალიფიკატორის (Q) საშუალებით. მტკიცება, ანუ კონკლუზია (K) მიმართულია რომელიმე ფაქტზე ან მონაცემზე (D). ასევე შეიძლება მთელი რიგი გამონაკლისი პირობებით (A) მოხდეს მტკიცების (K) გაუქმება [ტულმინი 1975: 83].

საგაზეთო ცნობისა ან მოხსენებისაგან განსხვავებით კომენტარში არ გვაქვს დახურული ან სრულყოფილი ინფორმაციისაკენ სწრაფვა. კომენტარი უფრო მეტად გულისხმობს ინფორმაციის გარკვეულ

ბის არგუმენტაციულად დასაბუთებისა კონტროვერსიული პრეტენზიების დაძაბულობის ველში და მათი რატიფიკაციისათვის საკომუნიკაციო პარტნიორობის დამაჯერებელი თანხმობის მოპოვებისა” (მ.ჯაში)

დონეს და სელექციურად ახდენს ამ ინფორმაციის რეფერირებას ტექსტის სპეციფიკური პერსუასიული მიზნის შესაბამისად, ანუ რეფერირებადი და კომენტირებადი გამონათქვამები ხშირად ერთმანეთშია აღრეული.

როგორც ვაინრიხი კომენტარის ანალიზში განსაზღვრავს: ინფორმაციების თანამიმდევრობა დროის დისტრიბუციაშიც აისახება: კომენტირებადი პასაჟები შეიცავენ უპირატესად აწმყო დროის /პრეზენტის/ დროის ფორმებს, რეფერირებად ნაწილში კი დომინირებს პრეტერიტები შესაბამისი პროსპექციული და რეტროსპექციული დროის ფორმებით [ვაინრიხი 1966 :85].

ამგვარი დროული გადანაწილება გარკვეული მოდიფიკაციებით ფაქტიურად კომენტარის ბევრ ტექსტს ეხება. უფრო რთულია ტექსტის არგუმენტაციული სტრუქტურის კლასიფიკაცია, რომლის ეპიზოდები მოიცავენ როგორც კომენტირებად, ასევე რეფერირებად პასაჟებს სხვადასხვა ფუნქციით. ტექსტობრივი სპეციფიკით გამოირჩევა ასევე კომენტარის სათაურები. როგორც პრესიგნალები ისინი მიანიშნებენ შეფასებითი ელემენტების საშუალებით ტექსტის ინტენციის ტიპზე (მაგ.: *Genschers Leisetreterei*, KN, 17.09.1981). გარდა ამისა, ხარვეზიანი სემანტიკური ერთმნიშვნელობა, ”მწირი კონტექსტი” იძლევა ერთგვარ სტიმულს სტატიის წასაკითხად. საკუთრივ ტექსტის შესავალი წარმოადგენს ან უშუალო მითითებას განსახილველ თემაზე, ან ის წარმოდგენილია ორიგინალური, დისტანციის შემქმნელი შენიშვნით ან ბანალური ფრაზის, ფრაზეოლოგიური გამოთქმის ვარიანტირებული ფორმით:

Das Arbeitsplatz-Argument

Eher der Not gehorchend als dem eigenen Trieben, haben die etablierten Parteien ihre

Programme und Wahlkampfaußsagen aufputzen müssen, (FR,15.12.1980).

ტექსტის შესავალი და ტექსტის დასასრული ხშირად ქმნის კომპოზიციურ ერთიანობას. ამასთან ეს ჩარჩო ხშირად ცენტრალურ შეფასებით აქცენტს აღნიშნავს: Die Bahn verpasst ihre Chance – Verpasste Chancen (SZ,18.12.2001).

რადგან კომენტირება ნიშნავს არსებული რეალობის, მოვლენის განსაზღვრული მასშტაბით შეფასებას, აქ დომინირებს ენობრივი დიქცია, რომელიც შეესაბამება აზრის გამომხატველ ინტენციას [ზანდიგი 1978:157]. ამას ემატება კომენტარისათვის სპეციფიკური ენობრივი საშუალებები: მეტაფორები, ჰიპერბოლა, სტილისტურად შეფერილი სიტყვები, მინიშნებები, ირონიული სიგნალები, რიტორიკული ფიგურები, ემფატიური სინტაქსი, კითხვითი წინადადებები. ამ ნიშნების სიხშირე და ენობრივი გამოხატულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თემაზე, საგანზე, კონტექსტსა და ასევე საკომუნიკაციო ინტენციასა და როგორც აღნიშნავს მორგენტალერი, ნიშნების განაწილების მიხედვით შეიძლება გამოიყოს, საჭიროების შემთხვევაში კომენტარის როგორც ტექსტის ტიპის სხვა ქვეტიპები [მორგენტალერი 1980:98].

დასკვნა

კომენტარი განეკუთვნება აზრის გამომხატველ პერსუასიული ტექსტის ტიპს, რომელიც გამოირჩევა: 1. ტიპოლოგიურად რელევანტური კომპოზიციური სტრუქტურით (სათაური, ტექსტის კორპუსი/შესავალი და ძირითადი ნაწილი/ და დასკვნითი, ანუ შეფასებითი ნაწილი). აქ გამოიყენება ისეთი ენობრივი საშუალებები, როგორებიცაა მეტაფორა, ჰიპერბოლა, მინიშნება, ემფატიური სინტაქსი, ექსპრესიული ლექსიკა, ირონია

და ა.შ. 2. სამი ძირითადი შინაარსობრივი ნიშნით; ა) მან უნდა გააშუქოს აქტუალური საზოგადოებრივ-პოლიტიკურად რელევანტური თემები, ბ) იგი უნდა შეიცავდეს ავტორის პოზიციას და გ) მას უნდა გააჩნდეს შეფასების ფუნქცია. კომენტარის სტრუქტურული სქემა რამდენიმე მომენტს შეიცავს: ფაქტის ან მოვლენის დასახელება, პრობლემატურობა, შეფასება, საკუთარი აზრის გამოთქმა, პრობლემის გადაწყვეტა, შესაბამისი ქმედებისაკენ წაქეზება. აქედან, აუცილებელია პირველი და მესამე საფეხური, კერძოდ, ფაქტის ან მოვლენის წარმოდგენა და შეფასება. ყველა დანარჩენი ფაქტობრივია.

კომენტარს ხშირად უწოდებენ გაზეთის კვინტესენციას, რომელიც არა მარტო ავტორის, არამედ მოვლენის გაზეთის პოზიციასაც გამოხატავს ამა თუ იმ საკითხის მიმართ. მასში შეიმჩნევა ავტორის სურვილი და საკომუნიკაციო ინტენცია წერილობითი ტექსტის (კომენტარის) საშუალებით დაარწმუნოს მკითხველი თავისი შეფასების სისწორეში და წააქეზოს კიდევ იგი საკუთარი აზრის შექმნისაკენ ან არსებულის განმტკიცებისაკენ.

ლიტერატურა

1. Belke Hans (1973): *Literarische Gebrauchsformen*. Düsseldorf
2. Kopperschmidt Johannes (1973): *Allgemeine Rhetorik*. Stuttgart
3. Koszyk Kurt/Pruys Karl Hugo (1969): *Wörterbuch zur Publizistik*. München
4. Lüger Heinz Helmut (1983): *Pressesprache, in: Germanistische Arbeitshefte n. 28*. Tübingen
5. Maletzke Gerhard (1963): *Psychologie der Massenkommunikation*. Hamburg
6. Morgenthaler Eric (1980): *Kommunikationsorientierte Textgrammatik*. Düsseldorf

7. ფურცელაძე ვიოლა (1998): ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი

8. Sandig Barbara (1978): *Stilistik*. Berlin

9. Toulmin Stephen (1975): *Der Gebrauch von Argumenten*. Kronberg

10. Weinrich Harald (1966): *Tempusprobleme eines Leitartikels*. in Euphorion 60. Stuttgart

Newspaper Communication-the Essential Element of Spiritual Culture

Marina N. Jashi

Ilia's University

Faculty of foreign languages philology

K. Tcholakachvili av. 3/5, 0162, Tbilissi, Georgia

Tel. : 899 552 195

E-mail : marina_dshaschi@yahoo.com

Abstract

The article examines newspaper communication like from the text linguistic point of view; are represented 5 types intension of the text and those had realized in the newspaper texts, where is stands out persuasive type of text as newspaper comment. Its task is not only to represent one or other fact, or another or phenomenon of reality, but first of all as estimated classification from the side of scripiter. In comments prevail the arguments structures and they are expressed by the high frequency of assertions, estimations and substantiations. Comment in contrast to other newspaper texts has fixed level of information and it will selectively refer for achievement specific persuasive purpose, e. i. at the basis of the explication component always lies in persuasive-functional aspect..

Keywords:

newspaper communication, comment, intention, type of persuasive text, argumentation, conclusion

Газетная коммуникация- основной элемент духовной культуры

Джаши Марина Николаевна

Государственный Университет им. Ильи

Факультет филл ологии иностранных языков

пр. К. Чолокашвили 3/5, 0162, Тбилиси, Грузия

Тел. : 899 552 195

E-mail : marina_dshaschi@yahoo.com

Резюме

В статье рассматривается газетная коммуникация с точки зрения лингвистики текста; представлено 5 типов интенции текста реализованных в газетных текстах, среди которых выделяется персуазивный тип текста-газетный комментарий. Его задачей является не только представление того или иного факта или явления реальности, но и в первую очередь оценочная классификация со стороны автора текста. В комментарий доминируют аргументационные структуры, что выражается большой частотой утверждений, оценок и обоснований. Комментарий в отличие от других газетных текстов больше подразумевает определенный уровень информации и селективно реферирует ее для достижения специфической персуазивной цели, т. е. в основе экспликационного компонента всегда лежит персуазивно-функциональный аспект.

Ключевые слова:

газетная коммуникация, комментарий, интенция, персуазивный тип текста, аргументация, конклюдия.